შაბათი, 17 მარტი 1907 წ.

ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 59

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებისა მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ვრცელი თუ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ".

მარიამ გრიგოლის ასული გუგუშვილისა შვილიშვილით, **ოლია სოფრომის-ძე ონიაშვილი და კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე გრიგოლია** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტრაგიკულ სიკვდილს 15 ამა მარტს, პირველი — დაუვიწყარ ქმრის, მეორე — სიძის და უკანასკნელი — ბიძის გორის მაზრის უფროსის

ელიზბარ დავითის ძის გუგუშვილისას.

პანაშვიდი ყოველ დღე 1 და 6 საათზედ. გამოსვენება კვირას, 18 მარტს, დილის 10 საათზედ, ქაშვეთის ეკლესიაში, იქიდან დასასაფლავებლად კუკიის სასაფლაოზედ. კირპიჩნი ზერიელოვის ჩიკვინეთის სახლი, № 13. (2—591—1)

დიდ ლანჩხუთში წმ. იოანე ნათლის-მცემლის ეკლესიაში კვირას, 18 მარტისათვის, დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი

საშა [ალექსანდრე] ქრისტეფორეს ძის ცინცაძის

სულის მოსახსენებლად, რისაც **მელიტონ ივანეს ძე ცინცაძე** შვილიშვილითურთ და რძლით აუწყებს ნაცნობებს და ნათესავებს. (1—592—1)

სოფიო მიხეილის ასული, თამარი, ალექსანდრე და ნიკო ჩხარტიშვილები აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი პირველის დაუვიწყარ ქმრის და უკანასკნელთა საყვარელ მამის

ესტატე ნიკოლოზის ძე ჩხარტიშვილის

სულის მოსახსენებლად დანიშნულია შაბათს, 17 მარტს, წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში. (2—585—2)

ირმაკ მამულოვი მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ და მოულოდნელად გარდაცვალებას მეუღლის

ვარინკასას.

ცხედარს გამოასვენებენ კვირას, 18 მარტს, დილის 10 საათზე, მეტეხის ქ. № 13, და წაასვენებენ სურფ-გევორქის ეკლესიაში. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე. (2—2)

სათავადაზნაურო სახლში(?) საკონცერტო დარბაზში
შაბათს, 17 მარტს 1907 წელს

გამოსათხოვებელი კონცერტი

პროფესიონალ ქალის მომღერლის

ვან-ბრანდტისა

ბარიტონის **ვერეციოსის** მონაწილეობით. დაწვრილებითი აფიშებსა და პროგრამებში. ბილეთები იყიდება სარტ. სახოგ. თეატრის კასაში. (1—589—1)

ექიმი
ი. ვაჩნაძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კოჯრის და ვერის ბაღის ქუჩის კუთხე. ბარათოვის სახლი, № 92. (წ.—7)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ ზუბალაშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ფოლიცეისკის ქუჩა, სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—68)

ექიმი
პ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ავად-მყოფებს ყოველ დღე, დილით 9—11½ ს. კირპიჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
ი. ზ. ქანდელაკი
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, აწყობს ხელოვნურ კბილებს, აკეთებს ოქროსას და სხვა სხვა ხელოვნურ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპექტი, სახლი აბულოვისა, № 26. (25—6.—5)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიული. დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8, ვორონცოვის ქუჩა № 14.

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში
მუდმივის საწოლებით
(ალექსანდრეს ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).
მიიღება ყოველ დღიურ ავადმყოფთა:
შინაგანი სნეულებისა: 11—12 ს. საზოგადოებისა და სხვები.
ი. ნ. ...: 11—12 ს. ნერვების, შინაგანი სენისა, წამლობა ელექტრონით.
გ. ა. ...: 12—1 ს. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ი. გ. ...: 12—1 ს. ქალისა და ბავშვებისა.
მ. მ. ...: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.
პ. ა. ...: 1—2 ს. ბავშვთა და შინაგანი.
ი. ნ. ...: 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბავშვისა.
სამკურნალოსთან შეიძლება ექიმისა პაციენტის, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყველა ფერი ჰარისა და ძვლების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო ან ცალკე ნომრებში. (100—მაღ.—40)

გორში

გამოცხადებულ იქნება გორის საკრებულო ტაძრის ერთ სართულიანი მაღაზია ოთხი ოთახით, რომელიც მდებარეობს ამავე ტაძრის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით ამა 1907 წლის 1 აპრილიდან ხუთის წლის ვადით. ვაჭრობა მოხდება ამავე საკრებულო ტაძრის გალავანში, სამგალობლო სახლში, 18 მარტს, 1907 წ., 12 საათზედ. ვაჭრობის განმეორება მესამე დღეს. მოვაჭრემ უნდა წარმოადგინოს ვაჭრობის დროს სავაჭრო ფულის მესამედი. ვაჭრობა დაიწყება ოცდა თექვსმეტ თუმნიდან და შვიდი მანეთიდან (367 მ.); ვისაც სურს საიჯარო პირობების შეტყობა, შეუძლიან მიმართოს ამავე საკრებულო ტაძრის წინამძღვარს დეკანოზს მ. იოანე კაპანაძეს. (3—6.—3)

ქუთაისში
კიწმარიშვილის და ამხ.

თეთრეულობის კანტორამ
მიიღო დიდ-ძალი ოინჯის, კორდერის, სამკურის, ბურის, გულის ხის, ბოლის და ყოველგვარ მოსტრეულობის და უვეილების თეთრეულობა. პრეისკურანტები ყველას უფასოდ. (30—ფ.—1)

ქუთაისში

შემთხვევით **იყიდება** ფრანგულ სტილის-სნოში გაკეთებული მთელი **კონტორის იავად**. იკითხეთ ლიბერლის ფორაქიოვის სახლში, ბოლოს. (6—კვ.—1)

ქუთაისში
გაიხსნა საწყობი ნამდვილი

ყიფიანის ღვინისა

ქართლის ოტიის ძე ყიფიანის საკუთარი ვენახებიდან. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენია.
ქუთაისი, ვ. პილაძის შენობაში სობორის პირდაპირ, „კომერციულ" სტამბის გვერდით. (15—კვ.—1)

ტფილისი, 16 მარტი.

კვლავ გაფიცვების ტალღა წამოვიდა რუსეთზე. ეს ერთი თვეა დიდი გაფიცვები არ შეწყვეტილა რუსეთის სხვა და სხვა ადგილას, ხოლო ზოგან გაფიცვამ მთელის რაიონის საპროფესიო ცხოვრება შეაჩერა. უკანასკნელ დღეებში, მაგალითად, დიდი გაფიცვა დაიწყო ბაქოში, რომელიც მთელის ნავთის მრეწველობის საქმეს შეჩერებას უქადის.

აღნიშნული გაფიცვები მხოლოდ ეკონომიური ხასიათისაა: ყველგან მუშებმა წამოაყენეს სხვა და სხვა ეკონომიური მოთხოვნანი და დიდის ენერგიით და თან დიდის სიმაგრით იცავენ თავიანთ საქმეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მწყობრი, დარბაისლური და მედგარი გაფიცვები, როგორიც ესაა, იშვიათად ყოფილა რუსეთში და უეჭველად მოწმობენ მუშა ხალხის საგრძნობელ განვითარებას ამ ორ-სამის წლის განმავლობაში. მეორეს მხრით ისიც აღსანიშნავია, რომ პროფესიული კავშირი ახლა უფრო დარაზმული უდგება მუშათა იერიშს, ვიდრე წინად. ამიტომ შრომისა და კაპიტალს შორის ბრძოლა ამ ჟამად რუსეთში იმავე კალაპოტში სდგება, როგორსაც დასავლეთ ევროპაში აქვს ადგილი და უბრალო სტიქიურ მოძრაობის ხასიათი ძლიერ ნაკლებად აქვს.

ესეთი განვითარება მუშათა ბრძოლისა უმთავრესად აიხსნება პროფესიონალური მოძრაობის გაძლიერებით. მუშა ხალხმა დაჰკარგა იმედი სახელმწიფოს დახმარებისა და თან და თან იღვიძებს ის აზრი, რომ მის საკუთარსა და პირდაპირს ბრძოლას კაპიტალთან უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში, ვიდრე კანონმდებლობის გზას. ეს გარემოება მით უფრო საყურადღებოა, რომ რუსეთის მუშას ხელმძღვანელად უმთავრესად ს.-დემოკრატია გაუხდა, როგორც-კი პროლეტარიატმა შეგნებული ცხოვრება დაიწყო. ს.-დემოკრატიის გადამეტებულ-გადაჭარბებულმა ლტოლვილებამ სახელმწიფო კანონმდებლობისაკენ მუშათა საქმეში ხეირი ვერ ნახა რუსეთის ცხოვრების თანამედროვე პირობებში და მუშა ხალხი თითქოს ინსტიქტიურად სხვა გზას ადგება: თავის ეკონომიურ ბრძოლაში პოლიტიკურ პარტიებს გარეშე კავშირდება და ბრძოლის ახალ მეთოდებს ითვისებს. უეჭველია, ამ გარემოებას განსაკუთრებულად ხელი შეუწყო რუსეთის რევოლუციამ და, სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, თვით ს.-დემოკრატიის ტაქტიკამაც. რუსეთის ს.-დემოკრატია თავიდანვე იძულებული გახდა შესამჩნევად გვერდი აექცია დასავლეთ ევროპის ს.-დ—ის ტაქტიკისათვის თავის მინიმუმ-პროგრამის განხორციელების საქმეში მუშათა დღევანდელ მდგომარეობის გაუმჯობესების მხრით. შესაძლებელია მომავალში, როცა რუსეთიც ჩადგება ნორმალურ პარლამენტარიზმის პირობებში, რუსეთის ს.-დ., თავის გერმანულ მოძმესავით, უარჰყოფს რევოლუციონურს მეთოდებს სოციალურ ბრძოლაში; მაგრამ დღეს ისიც დარწმუნებულია, რომ ამ მეთოდებს უკეთ შეუძლიათ გააუმჯობესონ მუშა ხალხის დღევანდელი ყოფა-ცხოვრება, ვიდრე მარტოოდენ საპარლამენტო ბრძოლას; ვამბობთ „მარტოოდენ", რადგან ჩვენ არ უარვყოფთ საპარლამენტო ბრძოლის მნიშვნელობასაც ამ საქმეში. მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ ბრძოლას მეორე ხარისხოვანი ადგილი უნდა ეჭიროს, ხოლო მთავარი და ხელმძღვანელი როლი მუშათა სინდიკალურს მოძრაობას უნდა დაეთმოს. და ეს ასეც იქნება რუსეთშიაც: ამის საბუთს გვაძლევს დღევანდელი პროფესსიონალური მოძრაობა რუსეთში, დღევანდელ გაფიცვების მიმართულება და ხასიათი...

ამისავე თვალსაჩინო გარემოებაც, რომ რუსეთის მთავრობა წინადაც და დღესაც უიმედო ეჭვებულს იჩენს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. ჩვენ არა ერთხელ გვქონია შემთხვევა გვეჩვენებინა მკითხველისთვის, რამდენად უნაყოფო გამოდგა მთავრობის ყოველი ნაბიჯი ამ საქმეში. მარიდ სახსოვარ 9 იანვრის შემდეგ ეს მესამე წელიწადია მთავრობა ვითომ ცდილობს კიდეც რამე შეჰქმნას მუშების მფარველ კანონმდებლობის საქმეში, მაგრამ ამაოდ: იგი ორგანიულად უნიჭო და უძლური გამოდგა ამაში და ამიტომაც კიდევ დიდხანს მუშები იძულებულნი იქნებიან მარტო თავის საკუთარის ინიციატივითა და პირდაპირის ბრძოლით მოუგარონ თავიანთ საქმეს. კანონმდებლობის იმედი მუშა ხალხს აღარ აქვს, რადგან მისგან დაპირების მეტი არაფერი ესმის ეს რამდენი წელიწადია. აი, მთავრობის ახალი განცხადებაც (სტოლიპინის დეკლარაცია) თითქმის იმავე დაპირებას იძლევა, რომელიც მუშებმა კარგა ხანია მიიღეს. „სახელმწიფოს მოვალეობაა ფართოდ დაავენოს მუშათა მფარველობის კანონმდებლობაო", ალიარა სტოლიპინმა და ჩამოთვალა კიდეც რეფორმები: კავშირების და გაფიცვის თავისუფლება, სამუშაო დღის შემცირება, დაზღვევა უძლურთა, უბედურებით დაჩაგრულთა და სხვა და სხვა. აქ ახალი არაფერია; ამას, ვიმეორებთ, კარგა ხანია ჰპირდებიან მუშებს, მაგრამ „სიტყვა სხვაა, საქმე სხვა— შუა უზის დიდი მხლვარი"...

სათათბირო და საბჭო

(საგანგებო დეპეშები)

სათათბიროს 15 მარტის სხდომა. სხდომა დაიწყო 11 საათსა და 10 წუთზე გოლოვინის თავმჯდომარეობით. სათათბიროს მოახსენდა, რომ მიწათ-მოქმედების მინისტრმა შემოიტანა კანონ-პროექტი მიწის საქმის მოწესრიგების შესახებ. რიგით კი გასარჩევი იყო უადგილოდ დარჩენილთა საკითხი.

მეტრიხნუკომ ხომიერ დეპუტატების სახელით სთხოვა სათათბიროს, დაუყოვნებლივ შეუდგეს მიწის საკითხის გარჩევას.

დოლგორუკოვმა კადეტების სახელით ითხოვა, მიწის მოწეს-რიგების საკითხი სხვა დროისთვის გადადოს, რადგან კონკრეტული წინადადებები ამის შესახებ ჯერ დაბეჭდილი არ არისო.

წერეთელმა ს.-დემოკ. სახელით ითხოვა, სათათბირომ ფორმალიზმს ყურადღება არ მიაქციოს და საკითხი დაუყოვნებლივ განიხილოს.

ბობრინსკი შეუერთდა გლეხთა განცხადებას და ითხოვა, რომ აგრარული საკითხი ორშაბათს გაირჩეს.

მისივე აზრით, საჭიროა გლეხთა ითვენას უფრო მეტი სცენ, რადგან რუსეთში გლეხი მეტია, ვიდრე უადგილოდ დარჩენილი.

მან. სტახოვიჩი: ჩემის აზრით, საჭიროა უადგილოდ დარჩენილთა საკითხი გადაიდოს ფორმალურის მიზეზით კი არა, არამედ სათათბიროს არსებითის საჭიროებით. უადგილოდ დარჩენილთა დახმარება და ამნისტია მწვავე კამათს იწვევს და ნაყოფი კი არა გამოდის რა. თუ საქმეს საკანონმდებლო ფუნქციის და ქვეყნის აუცილებელ საჭიროების თვალით შევხედავთ, დავინახავთ, რომ თავდაპირველად უნდა განვიხილოთ ბიუჯეტი, ადგილობრივ თვითმართველობის საკითხი და სხვა.

სინადინომ, მელნიკმა და გრინევიჩმა მოითხოვეს აგრარულ საკითხის გარჩევა.

ალექსინსკიმ ს.-დემოკრატების, ხოლო რჟევსკიმ ს.-რევოლუციონერების სახელით მოითხოვეს უადგილოთ დარჩენილთა საკითხის დაუყოვნებელი გარჩევა. „ჩვენ ვხელმძღვანელობთ ნაკაზით და ვერ მოვუცდით, როდის დაბეჭდავენ სხვა ჯგუფები თავიანთ წინადადებას. ეს ჯგუფები სცდილობენ ფორმალურის მიზეზით საქმის არსებითი მხარე გადაავადონო".

კაპუსტინმა და ბელგარდომა ითხოვეს საკითხები იმ რიგზე გაირჩეს, როგორც უწყებაშია აღნიშნული, მით უფრო, რომ უადგილოდ დარჩენილთა საკითხი შემუშავებული არ არის და, მაშასადამე, ჯერჯერობით ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ საკითხის შემმუშავებელ კომისიის დანიშვნის შესახებაო.

სათათბირომ საკითხს კენჭი უყარა და ერთხმად დაადგინა: მიწის მოწესრიგების საქმე 19 მარტს გაირჩეს. ხმის უმეტესობით (მემარცხენენი, კოლო და კადეტთა ერთი ნაწილი წინააღმდეგ მემარჯვენეთა, ხომიერთა, მუსულმანთა და კადეტთა მეორე ნაწილისა) სათათბირო უმუშევართა საკითხის გარჩევაზე გადავიდა.

ჯაფარიძე. გრძელი სიტყვა წარმოსთქვა და მრავალის მაგალითით დაასურათა უმუშევართა მდგომარეობა.

თავმჯდომარემ სთხოვა დრო რომ უბრალოდ არ დაიკარგოს, წერილობით თავი გაანებოს. დეპუტატების ერთი ნაწილი კულუარებში გავიდა. ჯაფარიძემ უმუშევართა საკითხის გამწვავება დააბრალა მთავრობას და „რუსის ხალხის კავშირს, რომელიც მთავრობასთან ხელიხელ გადაბმული მოქმედებსო. ორატორი გადადის განხილვაში ამ კავშირის მოქმედებაზე ოდესაში.

პურიშკევიჩმა ამ დროს დაიძახა: როგორც კავშირის თავმჯდომარის ამხანაგი, მე ვერ მოვითმენ კავშირის შეურაცხყოფას და იმის სახელზე ინსინუაციების გამოთქმას.

ჯაფარიძემ თავის სიტყვების დასამტკიცებლად მოიყვანა იოლოსის მკვლელობა.

თავმჯდომარემ შეაჩერა ორატორი: ხაზამ მკვლელის ვინაობა გამორკვეული არ არის, სათათბიროს ტრიბუნიდან ასეთ ბრალდებას ადგილი არ უნდა ჰქონდესო.

კუზნეცოვმა გაიმეორა სიტყვა და სთქვა, რომ გაჭირვებულ მდგომარეობიდან ჩვენი გამოყვანა მხოლოდ რევოლუციის განვითარებას შეუძლიან.

პურიშკევიჩმა ალბათ ეს სიტყვები ვერ გაიგონა და შეეკითხა: „რისთ"?

კუზნეცოვმა ხმა მაღლა და გარკვევით გაიმეორა: რევოლუციის განვითარებისათ.

თავმჯდომარემ განუმარტა ორატორს, რომ სათათბირო საკანონმდებლო დაწესებულებაა, ისეთი დაწესებულება, რომელსაც რევოლუციასთან საერთო არა ფერი აქვსო.

კუზნეცოვმა არა სცნო ეს, და თუმცა შემარჯვენენი თავმჯდომარესთან უჩივიან და ცდილობენ ორატორის ხმა ჩაიჩუმონ, იგი მაინც თავისას ფერავს მოწოდებით, რომ სათათბირომ ხელთ ჩაიგდოს აღმასრულებელი ძალა.

თავმჯდომარემ ხელ-ახლა სთქვა, რომ აღმასრულებელ უფლებაზე ლაპარაკი შეუძლებელია, რადგან სათათბირო მხოლოდ საკანონმდებლო დაწესებულებად დარჩება.

კაფაროვმა ჩამოიარა ტრიბუნიდან და თან სთქვა, თავმჯდომარის აზრი არავითარ საფუძველზე არ არის დამყარებულიო. (აქა იქ ტაში).

ორატორთა ჩაწერა შესწყვიტეს. მაგრამ სიტყვის თქმის ნ წუთით შეზღუდვა უარჰყვეს.

კარტაშოვმა შრომის ჯგუფის სახელით მოითხოვა: დაინიშნოს კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს უმუშევართა საკითხი და იმის წინააღმდეგ საბრძოლველი ზომაც.

[illegible] შემარჯვენეთა სახელით წინააღმდეგობა შეიტანა აღმასრულებელ კომისიის დანიშვნისა და მისიგ საქმეებზე გადასვლის შესახებ, რადგან სათათბიროში გასარჩევად შეტანილი წინადადება არ შეეფერება სათათბიროს საკანონმდებლო ფუნქციასო.

შეგაევმა მუსულმანთა სახელით მოითხოვა დაუყოვნებელი დახმარება გაეწიოთ უმუშევართ.

კუტლერმა კადეტთა სახელით წინადადება შეიტანა, შესდგეს 19 კაცისაგან კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს, თუ რამდენი ფული საჭირო მუშების და სამრეწველო კრიზისის დროს დაზარალებულთა დასახმარებლად და ეს გამოკვლევა საკანონმდებლო წესით იქმნას სათათბიროში შეტანილი. კუტლერმა მხურვალედ სთხოვა ორატორებს, ნუ გადაუხვევთ საქმიან, პრაქტიკულ ნიადაგს, უბრალო კონკლუზიაში ნუ შეიტყობინ და ამით კრებას სახელს ნუ გაუტეხენ, რადგან სათათბირო მოწოდებულია არა მარტო ლაპარაკისთვის, არამედ მოქმედებისთვისაც. სათათბიროს მინიჭებული აქვს მხოლოდ საკანონმდებლო უფლება და არა აღმასრულებელი. ამ უფლებათა ერთად შეერთება შეჰქმნის სათათბიროში, რაც იურიდიულად შეუძლებელია: ამიტომ უმიზნოა ლაპარაკი სათათბიროს აღმასრულებელ უფლებაზე და ადგილობრივ კონტროლზე. სათათბიროს საქმეა აზრიანად საკითხის გარჩევა და არა პარტიულ ანგარიშების გასწორება და პარლამენტურ [illegible] გამოჩენა. (ტაში ცენტრსა და ზოგან მარცხნივ).

ტრეგუბოვმა დახატა უმუშევართა მდგომარეობა ბალტიის მხარეში.

იმის სიტყვის დროს დეპუტატები კულუარებში გავიდნენ. 1 და საათსა 55 წუთზე სხდომა შესწყდა. სხდომა განახლდა 3 საათსა და 15 წუთზე. მიიღეს წინადადება, რომ ლაპარაკის დრო 5 წუთით შეზღუდონ. დარჩა მოსასმენი 20 ორატორი.

[illegible], [illegible] და [illegible] დაუყოვნებლივ დახმარების მომხრენი იყვნენ.

შიდლოვსკი: სათათბირო პირველ დღიდანვე ცუდ გზას დაადგა, არაფერს არ აკეთებს; ან ვინ დაარქმევს მუშაობას უბრალო სიტყვების რახა-რუხსა. ორატორის სიტყვით, შემარცხენეებს არც ერთი ნათელი აზრი არ გამოუთქვამთ (ხმაურობაა); შემარცხენეები შეიარაღებულ აჯანყებისადმი იწვევდნენ (ხმაურობა მატულობს. მარცხნივ ყვირიან: „ტყუილია! მარჯვნივ: „სთქვეს, სთქვეს"), ან ხმა-მაღლა კითხულობდნენ [illegible] პროკლამაციებს. (თავმჯდომარე სთხოვს ორატორს, საკითხზე ილაპარაკოს). ჩვენ უკვე დავუმტკიცეთ მთელ ქვეყანას, რომ არაფერს არ ვაკეთებთ და მგონი ვერაფერსაც ვერ გავაკეთებთ, რადგან პირველ დღიდანვე სათათბიროს სახელი გავტეხეთ (თავმჯდომარე ორატორს შეაჩერებს). შიდლოვსკიმ გაათავა სიტყვა ამ წინადადებით: ხელის მოწერა გავმართოთ სათათბიროს წევრთა შორის უმუშევართა სასარგებლოდ და შემდეგ აგრარულ საკითხზე გადავიდეთ, რომლის გადაწყვეტისაც გლეხები გვეხვეწებიანო.

ყარაულოვი და სხვა სიტყვის თქმაზე უარს აცხადებენ. მელნიკი წინააღმდეგია იმ აზრისა, ვითომ [illegible] გლეხებმა გლეხთა საჭიროება არ იციანო.

[illegible] ყოველთა სახელით მოითხოვა სათათბიროს, [illegible] არ დაივიწყოს და მიწა მოუჭრის (სიცილი).

წინადადება შეიტანეს კამათის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ უარჰყვეს.

[illegible] აზრით უმუშევრობის ერთ მთავარ მიზეზთაგანი გაფიცვების ბოროტად მოხმარებაა. იგი ამტკიცებს პოლიტიკურ გაფიცვის მავნებლობას; წარმოებამ ერთგვარ პირობებში შეუძლებელია შესძლოს ხელფასის მომატება და სწორედ მუშათა უზომო მოთხოვნილებებია ქარხანა-ფაბრიკების დახურვის მიზეზი და აქედან მუშებიც უმუშევრად დარჩნენო. ორატორმა ბოლოში მოითხოვა, რომ ასეთ მაღალ დაწესებულებაში [illegible] საუბარი ჭეშმარიტებაზე ილაპარაკოს, მაგრამ ამ ჭეშმარიტების წინაშე შემცოდენი არიან სოციალური და რევოლუციონური პარტიები, რომელნიც პოლიტიკურ გაფიცვებს ხელს უწყობენო. ახლა კი ეს ცოდვები უნდა ზღოს გლეხის მიერ შრომით მოპოვებულ ფულებითო.

[illegible] პოლონელთა კოლოს სახელით კადეტებს მხარი დაუჭირა, მაგრამ აღნიშნა, რომ განზრახული ზომა პალიატივია. საქმეს საბოლოოდ მხოლოდ კანონმდებლობის გადასინჯვა უშველისო.

ალექსინსკი: „მუშათა დეპუტატთათვის უმუშევართა საკითხი მარტო სახელმწიფო საკითხი კი არა, სიცოცხლის საკითხია; საკითხი არა სამრეწველო კრიზისის შემამსუბუქებელი, არამედ საკითხი, რომ მუშები დაკმაყოფილებულ იქმნან მათ მიერ გაწეულ ბრძოლისთვის. საკითხის გადაწყვეტის გარდა საჭიროა გამოკვლეულ იქმნას ადმინისტრაციის მოქმედება, რომელმაც უმუშევართა საქმე გააფუჭა (ხშირი ტაში).

[illegible] მოითხოვა ადგილობრივ საქმის გამორკვევა. მან ნ წუთის განმავლობაში სიტყვა ვერ დაამთავრა. თავმჯდომარემ ზარის წკარუნი ასტეხა. მარცხნივაც ხმაურობა იყო, ამიტომ [illegible] სიტყვა ვეღარ განაგრძო.

კონსტანტინოვმა სთქვა, მრწამს, რომ მთავრობას არა სურდა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ ვერ მოახერხა მოძრაობის ხელში დაჭერა. უმუშევრობა შედეგია სამრეწველო კრიზისისა და თვით მუშათა მოქმედებისა.

[illegible]: დამშეულთა და უსაქმოთა დახმარებაზე კამათი მაგონებს წყალს, მაგრამ იმ წყალს კი არა, რომლითაც ცეცხლს აქრობენ, იმას, რომელითაც ცეცხლს უფრო აძლიერებენო. იგი შეუერთდა კადეტებს და მოითხოვა უმუშევრობის მიზეზების გამოკვლევა, რადგან უმუშევართა უმრავლესობა შეგნებულმა ამხანაგებმა ჩაიგდეს ხელშიო.

შემარცხენეებმა მოაგონეს დეპუტატს, რომ 5 წუთი უკვე გავიდა. ასტყდა ხმაურობა და სიტყვის გათავების ნება აღარ მისცეს.

[illegible], პეტროვმა, [illegible] და [illegible] ილაპარაკეს უმუშევართა უნუგეშო მდგომარეობაზე. ჩვენ სამუშაო გვინდა და არა მოწყალებაო, სთქვეს იმათ.

[illegible]: უმუშევართა მდგომარეობა სერიოზულია. მოწოდება მარჯვნივ და მარცხნივ, რომ საკითხი ადგილობრივ გამოირკვეს, ამტკიცებს, რომ ასეთი გამოკვლევა კერძო პირთათვის შეუძლებელია, რადგან ძლიერ დაშორებულია ის ნიადაგი, რომელზედაც მოწინააღმდეგენი დგანან [illegible], ალექსინსკი და [illegible] ორატორი კადეტებს მიემხრო. სიტყვა დაუთმეს ვაჭრობის მინისტრს. დეპუტატები სასწრაფოდ შემოვიდნენ კულუარებიდან და თავის ადგილზე დასხდნენ. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

ფილოსოფოვი (ვაჭრობის მინისტრი): მთავრობას სურს განმარტოს ზოგიერთი ამ სხდომაზე შეტანილი წინადადება. კონსტიტ. დემოკრატების წინადადებით საჭიროა შესდგეს 19 კაცისაგან კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, რამდენი ფული უნდა გადაიდოს სახელმწიფოს უსაქმო მუშების, სამრეწველო კრიზისის გამო დაზარალებულების დასახმარებლად და ამ საქმისათვის საჭირო საშუალებათა აღმოსაჩენად. წინადადების აზრით, კომისიამ წინდაწინ უნდა განიხილოს ეს საგანი, შეიმუშაოს შესაფერი კანონ-პროექტი და მისცეს მსვლელობა იმ წესით, რომელიც სათათბიროს თაოსნობის შესახებ კანონშია აღნიშნული. სწორედ ამგვარად განმარტა ეს წინადადება სათათბიროს წევრმა კუტლერმა. ამ წინადადების აზრით, ხაზინამ უნდა იკისროს ის ხარჯი, რომელიც დღემდის არ ეკისრა. ამ დარგის ხარჯები მოხსენებულია ხარჯთ-აღრიცხვის მე-9 და მე-10 მუხლებში. კანონის მე-10 მუხლში აღნიშნულია, რომ ამგვარ საკითხების აღძვრის უფლება სათათბიროს ეკუთვნის, ხოლო რაც შეეხება ამ საკითხების წარმართვას, სათათბირო და საბჭო იმავე კანონშია ჩაყენებული, რომელიც იმისი თაოსნობისათვისაა აღნიშნული. ამგვარად განზრახულ კომისიას წინასწარი კომისიის ხასიათი ექნება. იმან უნდა განიხილოს მასალები, რასაც შედეგად კანონ-პროექტი მოჰყვება. შედგენილ კანონ-პროექტს კანონიერი მსვლელობა მიეცემა. ამ მხრივ მთავრობას არ შეუძლია და არ უნდა წინააღუდგეს კონსტ.-დემოკრ.-ების წინადადებას. აქვე გამოითქვა აზრი, განსახილველი წინადადება შევსებულ უნდა იქნასო. თუ არ ვცდებით, ეს აზრი ს.-დემოკრატების წარმომადგენლებს ეკუთვნის. მათი წინადადებით, კომისიის დანიშვნის გარდა, სათათბირომ უნდა გამოსწვიოს და გაგზავნოს დეპუტატები, რომელნიც ადგილობრივ გამოარკვევენ საკითხს უსაქმოდ დარჩენილ მუშების შესახებ. უსარგებლოდ სიტყვებს არ დავხარჯავ ამ წინადადების უკანონობის დასამტკიცებლად. თვით ავტორებს ეს ჩემზე უკეთ ესმით. იმათ ნათლად გამოსთქვეს ეს სხვა ამგვარ საკითხის, ხალხის გამოკვების, განხილვის დროს. მთავრობა მშვიდობიანად უყურებს ამგვარ წინადადებებს და დარწმუნებულია, რომ სათათბირო, რომელმაც არ უსმინა ამგვარ წინადადებას ხალხის გამოკვების საკითხის განხილვის დროს, ახლაც უარჰყოფს იმას. ამით ვათავებ სიტყვას საგნის ფორმალური მხარის შესახებ. ამავე დროს საგანს არსებითადაც შევეხები თუმცა მოკლედ, მაგრამ მაინც არ შემიძლია არ შევეხო ამ საგანს. აქ თითქმის ყოველ მხრიდან ისმოდა სიტყვები, საკითხი იმდენად ნათელი და თვალსაჩინოა, რომ არ შეიძლება ორი აზრი იყოს იმის შესახებ, რომ სახელმწიფომ [illegible] დახმარება აღმოუჩინოს ყველა უსაქმოდ დარჩენილთ. აქ არა ერთმა, არამედ ბევრმა ორატორმა სთქვა, რომ მუშები [illegible] სამუშაოს ითხოულობენო. მართლდება, მთავრობას არ შეუძლიან დაეთანხმოს ამგვარად დაყენებულ საკითხს იმის შესახებ, რომ ყველა უსაქმოდ დარჩენილთ პრინციპიალურად უფლება აქვთ მთავრობას სამუშაო მოსთხოვონ. ეს უფრო სამუშაოზე ცნობილ უფლების განახლებაა. მეორე მხრივ მთავრობა არ ფიქრობს, რომ არსებულ და არავითარ შემთხვევაში სახელმწიფო მოვალე არ არის სამუშაო აღმოაჩინოს. წინააღმდეგ, მთავრობამ კარგად დაამტკიცა, რომ მზად არის შეძლებისამებრ დაეხმაროს უსაქმოდ დარჩენილთ. წელს იმ თანხაში, რომელიც გადადებულია ხალხის გამოსაკვებად, შეტანილია 7 მილიონი მანეთი საზოგადო მუშაობის მოსაწყობად. მოყვანილმა ცნობებმა, მე მგონია, საკმაოდ და [illegible] წინააღმდეგი. ამრიგად, მთავრობა საკითხს გარკვეულ თვალსაზრისით არ უყურებს. იგი დარწმუნებულია, რომ ეს საკითხი, როგორც სხვა სახელმწიფო საკითხები, პრინციპიალურად კი არ უნდა იქმნას განხილული, არამედ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მიზნის შესაფერია, რამდენად საჭიროა და მის განსახორციელებლად მთავრობას რამდენად შესწევს ძალ-ღონე. სწორედ ამ თვალსაზრისით, შედგენა იმ კომისიისა, რომლის შესახებაც აქ იყო ლაპარაკი, არამც თუ მავნებელია, არამედ ძალიანაც სასარგებლოა. ეს კომისია გამოარკვევს ქვეყნის ნამდვილ საჭიროებას, რომელიც აქ ძალიან გადამეტებულად არის ნახატები. მაგრამ ჩემი საქმე მხოლოდ ის არის, რომ საქმე გამოვარკვიო.—მე დარწმუნებული ვარ, რომ, როდესაც კომისია საქმის გამოარკვევს შედეგებს, აღმოჩნდება, რომ უმუშევართა მართლა არსებობს, მაგრამ არა ის ზომით, როგორც აქ ამბობენ. [illegible] ლაპარაკის დროს რომ არ [illegible] უმუშევრობის უმთავრეს მიზეზს—გაფიცვებს. აქ აღნიშნეს გაფიცვები, რომლებიც იმართებოდა ბაქოში, ლოძში, [illegible] ამასთანავე, თუ უკანასკნელ გაფიცვები მალე არ მოსპონ, დიდი უბედურება მოელის უმრავლეს [illegible] თითონ მუშებს. როგორც ეტყობა, ამით უნდოდათ ეგრძნობინებინათ მთავრობისათვის, სითკენ უნდა იქმნას მიმართული მისი დახმარება. მთავრობას შეუძლიან დახმარება აღმოუჩინოს ისეთ უმუშევრობას, რომელიც კრიზისებისა ან სტიქიურ მიზეზების ბრალია, მაგრამ ისეთ უმუშევრობას კი, რომელიც მუშების გაფიცვებით არის გამოწვეული, მთავრობა არასოდეს ფულით არ დაეხმარება.

მინისტრის შემდეგ ილაპარაკა [illegible]

ფელეტონი

საფრანგეთის ცხოვრება და ლიტერატურა.

წერილები პარიზიდან.

II

ბრიუნეტიერის გარდაცვალება.—ახალი წიგნი ემილ ფაგესი.—ანატოლ ფრანსის მანიფესტი.

საფრანგეთის ლიტერატურას მოაკლდა ამას წინად საუკეთესო წარმომადგენელი, კრიტიკოსი და ლიტერატურის ისტორიკოსი ფერდინანდ ბრიუნეტიერი, რომელიც გარდაიცვალა ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ორმოცდაჩვიდმეტის წლისა.

ბრიუნეტიერის ცხოვრება ფრიად საინტერესოა. მისი პირველი ლიტერატურული დებიუტი საშინელი იყო. ახალგაზრდა მწერალი შიმშილით კვდებოდა და თავს მხოლოდ იშვიათის გაკვეთილებით ირჩენდა. მაგრამ მის გულში აღგზნებულმა ცეცხლმა და შრომის მოყვარეობამ არ დაჰკარგა სულით, ყოველივე დაბრკოლება დაამარცხა და ფართო ასპარეზზედ გამოვიდა. მან დაიწყო თანამშრომლობა „Revue Bleue"-ს და „Parlement"-ში, შემდეგ შევიდა „Revue des Deux Mondes"-ის რედაქციაში, სადაც დაიწყო ბეჭდვა კრიტიკულ წერილებისა. მისი „Etudes critiques" და „Nouvelles études critiques", რომელიც გამოვიდა ხუთ ტომად 1880—1887 წლებში, და მისი „ისტორია და ლიტერატურა" დაბეჭდილი 1884—1886 წლებში შეადგენს უმთავრეს ნაწარმოებს ამ ხანების კრიტიკულ ლიტერატურაში.

საფრანგეთის მე-17 საუკუნის ფილოსოფოსთა მხურვალე თაყვანის მცემელი, იგი არჩევდა პოეტურ ნაწარმოებთ მაღალ იდეალისტურ თვალსაზრისით და საშინელ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ეგრედ წოდებულ „ნატურალისტურ რომანს" და მის წარმომადგენელს ემილ ზოლას განსაკუთრებით.

1893 წელს ბრიუნეტიერი არჩეულ იქმნა საფრანგეთის აკადემიის წევრად და იმავე წელს მან მიიღო „Revue des Deux Mondes"-ის გამგე-დირექტორობა.

მისი უკანასკნელი თხზულება იყო „ლირიკულ პოეზიის ევოლუცია", „ფრანგულ თეატრის ხანები" და „ისტორია საფრანგეთის ლიტერატურისა"*).

უკანასკნელ წლებში მოხუცებულობისას ბრიუნეტიერის მხურვალე ტემპერამენტმა თან და თან გაიტაცა იგი რელიგიურ საკითხების გადაწყვეტისაკენ. რომის პაპ ლეონ მე-XIII-სთან ერთმა შეყრა-პაემნამ იმდენად იმოქმედა მის სარწმუნოებისაკენ უკვე გადახრილს გონებაზედ, რომ ნამდვილი მოციქული გახდა: დაიწყო პარიზსა და საფრანგეთის სხვა და სხვა ქალაქში კონფერენციების მართვა და ხალხის მოქცევა თავის „ახალ სარწმუნოებაზედ". ეს მისი სამოციქულო ქადაგებანი შეკრებილია ცალკე ტომად, რომელსაც აქვს სათაურად „მებრძოლი სიტყვები".

ამავე დროს იგი გადავიდა გაცხარებულ პოლემიკაში მეცნიერ ბერტლოსთან და პირდაპირ გამოაცხადა „მეცნიერების გაკოტრება" (Faillite de la science), რამაც დიდი ქარიშხალი გამოიწვია, არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელს ევროპაში. ეს პოლემიკა იყო მიზეზი, რომ მისი კანდიდატურა გააშავეს ლიტერატურის კათედრის დასაჭერად პროფესორის არჩევის დროს College de France-ში, რამაც მას გული დასწყვიტა. როცა რესპუბლიკის მთავრობის მიერ წარდგენილ იქმნა პროექტი სახელმწიფოსაგან ეკლესიის განშორების კანონისა, ბრიუნეტიერმა სხვა ცნობილ კათოლიკებთან ერთად ხელი მოაწერა პროტესტს ამ კანონის წინააღმდეგ.

დოგმატიკი კრიტიკოსი რამდენიმე თვით უკანასკნელში სენმა შეიპყრო, მაგრამ მაინც სარედაქციო შრომაში უნდოდა თავისი ტანჯვა-წვალება დაევიწყებინა. იგი მოკვდა „კალმით ხელში".

„Revue des Deux Monde"-ის უკანასკნელ ნომრებში მოთავსებულია მისი გრძელი წერილები „საფრანგეთის ფილოსოფოსები და საზოგადოება", ხოლო მის სიკვდილის შემდეგ მის ხელნაწერებიდან ამოღებული ფრიად საყურადღებო გამოკვლევა „სამი ხელოვანი (artisan) კლასიკურ იდეალისა მე-XVI საუკუნეში" დაიბეჭდა ამავე ჟურნალის მარტის ნომერში.

ასეთი იყო სალიტერატურო მოღვაწეობა ამ ნიჭიერ მწერლისა, რომელიც თანამედროვე მეცნიერებისადმი აღძრულმა ეჭვმა და დაუკმაყოფილებლობამ ერთის მხრით და სარწმუნოებით გატაცებამ მეორეს მხრივ იმ პესსიმიზმამდის მიიყვანა, რომ ბოლოს დროს იგი წინააღმდეგი გახდა მთელის თანამედროვე დემოკრატიულ და სოციალისტურის მოძრაობისა.

საფრანგეთის ლიტერატურაში მარტო ბრიუნეტიერი როდია დღეს მძლავრი მოწინააღმდეგე ახალის მოძრაობისა. სხვა გამოჩენილი მწერლებიც ხშირად ანებებენ თავს ხელოვნების სამსახურს და ერევიან მათთვის სრულიად უცხოეს პოლიტიკურ-ეკონომიურის საკითხებში, სადაც იჩენენ ცალ-მხრივობას და უმეტეს შემთხვევაში სრულს უვიცობასა და გაუგებრობას. საკმაოა დავასახელოთ ცნობილი ნაციონალისტები, პოეტი ფრანსუა კოპე და კრიტიკოსი ჟიულ ლემეტრი — თავმჯდომარე „მამულის შვილთა კავშირისა". მაგრამ ამათზე უფრო მეტს ყურადღებას იქცევს აკადემიკოსი ემილ ფაგე, რომლის ნაწერები საფრანგეთის პოეზიის ცალკე ისტორიულ ეპოქებზე და მრავალი სხვა კრიტიკულ-ფილოსოფიური ნაწარმოები სამაგალითოდ არის ცნობილი თვით ევროპის ლიტერატურაში. ეს ემილ ფაგე დამსახურებული პროფესორია პარიზის უნივერსიტეტისა და იმის საჯარო ლექციებს პოეზიასა და ფილოსოფიაზედ ყოველთვის აუარებელი ხალხი ესწრება. იგი ითვლება Lettres-ის ფაკულტეტის ერთ უნიჭიერეს „მეტრად", რომელიც უყვართ სტუდენტებსა და პატივსა სცემენ. და ეს ლიტერატორი იმდენად წინააღმდეგია არამც თუ სოციალიზმისა არამედ ლეგალურ საფრანგეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მთავრობის რეფორმებისაც-კი, რომ პირდაპირ წინასწარმეტყველობს ქვეყნის დაღუპვას. სახალხოდ ერთმა ოფიციალურმა გაზეთმა მოახდინა ჩვეულებრივი ანკეტა და სხვათა შორის გამოჩენილ კაცებს გამოკითხა თავიანთი სურვილები მომავალ წლისათვის. მათ შორის ემილ ფაგემ ასეთი პასუხი გასცა:

„მე ვისურვებ უმალ გარდაცვალებას, ვიდრე მოვესწრებოდე იმ უბედურებას, რომელშიაც უნდა ჩავარდეს ჩემი ბრიყვი სამშობლოო"! და ამ აზრით იგი ცდილობს გამონახოს უეჭველი საშუალებანი მოახლოვებულ სოციალურ რევოლუციის თავიდან ასაცილებლად. მან გამოაქვეყნა ამ დღეებში ახალი წიგნი უცნაურის სათაურით: „სოციალიზმი 1907 წელს" (Le Socialisme en 1907).

ფაგეს აზრით სოციალიზმი უგუნურებაა და მავნებელი, რისაც მოჰყვება დიდი ნაციონალური კატასტროფები. მაგრამ მისი ჩვეულებრივ - კონსერვატიული საბუთები სოციალიზმის წინააღმდეგ ჩვენთვის მაგდენად საინტერესო არ არის. აღვნიშნავთ მხოლოდ ფაგეს მიერ მოყვა-

*) ბრიუნეტიერის კრიტიკულ მეთოდის შესახებ ამ რამდენიმე წლის წინად „მოამბე"-ში დაიბეჭდა [illegible] წერილები კრიტიკოს [illegible].

ძვ. ჯიდარიძემ პასუხი გასცა კადეტებს იმის გამო, რომ ისინი საჯაროს უმუშევაროთ დაშინებით ჰლუპავენ. ორატორმა გაიკვირვა, რომ კადეტები დეპუტატების სხვა და სხვა ადგილებში გაგზავნის წინააღმდეგნი არიან და ამტკიცებენ, რომ მუშები თავიანთ მოთხოვნილებებს შეასრულებინებენ.

კეტლერმა კადეტების მხრით გადაწყვეტით უარყო ადგილობრივ საქმის გამორკვევის საჭიროება. იმ საყვედურის შესახებ, რომ კადეტები სამინისტროსთან სოლიდარულად იქცევიან, კეტლერმა სთქვა: კადეტები თავიანთ პრინციპებს ანხორციელებენ და არავითარს ანგარიშს არ უწევენ იმას, თუ ამ განხორციელების დროს იგი რომელ ჯგუფს უახლოვდება.

კამათი შესწყვიტეს. კენჭი უყარეს წერეთლის მიერ წარმოდგენილს შესწორებას, რომლითაც კადეტების წინადადებიდან უნდა გამოტოვებულიყო სიტყვები „სამრეწველო კრიზისისაგან დაზარალებული". შესწორების წინააღმდეგ ხმა მისცა (მათ შორის პრეზიდიუმმაც) 204 კაცმა, შესწორების სასარგებლოდ 204 კაცმა, მათ შორის სოციალისტებმა და კრუშევანმა. მემარჯვენეთა ნაწილმა მონაწილეობა არ მიიღო არჩევნებში. შესწორების მეორე ნაწილს კენჭი უყარეს და მიიღეს 223 ხმით, წინააღმდეგ 202 ხ; 11 დეპუტატმა მონაწილეობა არ მიიღო. შემდეგ კადეტების წინადადება წერეთლის შესწორებით მიღებულ იქნა 249 ხმით 159 ხმის წინააღმდეგ. კომისიაში სულ 19 კაცი უნდა აირჩიონ 19 მარტს.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წინადადება „ადგილობრივ საქმის განხილვის შესახებ" მას ისე ესმის, რომ ადგილობრივ მასალა უნდა შეიკრიბოს ერობისა და საქალაქო თვითმმართველობათა შემწეობით; ხოლო დეპუტატების გაგზავნის ამ მიზნისათვის ადგილობრივ საჭიროდ არა სცნობია; ეს საკითხი გამოურკვეველი დარჩა და საოთხიროთ კვლავ უნდა განიხილონ. საოთხიროთაც გამოურკვეველად სცნო საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეიკრიბოს მასალები ადგილობრივ ეკონომიურ დაჩაგრულთა შესახებ. თავმჯდომარემ წინადადება მისცა დეპუტატებს დასაბუთებული წინადადება წარმოადგინონ ამის გამო და ის შეტანილ იქნება განსახილველ საკითხთ სიაში.

სხდომა შესწყდა ნაშუადღევის 5 საათსა და 50 წუთზე.

მენშიკოვის ვითება და ს.-დემოკრატების ტაქტიკა.

[illegible]

ჩოლოხის მოკვლა?

[illegible]

ახალი ამბავი

[illegible]

ქუთაისის ქრონიკა

[illegible]

პროვინციის ცხოვრება

[illegible]

ეკრიფებიან ყველა წოდების ხალხი, ხანში შესულნი თუ ახალგაზრდანი და ბავშვები ძალიან თუ ასეთ ამბებზე. ყველა ასეთი ამბავი უწინარეს ყოვლისა ამით იცის ხოლმე, ქრონიკაში ვკრიფან ამბებს.

უეცრივად, სიჩუმე ჰქონდა, სამხედრო წესები არ ეცოდინა, მაშ რის წესიერებაა, რომ თავიანთ უმთავრესი ფანრებით განარიდებენ ქუჩები დამ-დამბიბით გოლოვინის პროსპექტს მიაკვლევენ. თუმცა-კი ზოგი ჩვენი მარცხენა, თვითონ ქუჩები ხომ არა ნათლებიდა და კიდევ თავიანთ სიარულზე განათებულია, მაგრამ სიჩუმე ის არის, რომ ქალაქზე ცოცხალი ფანრები ქუჩის განათებულა, სამეცნიერო განზრახ ეზოებში, რომ დარწმუნებულნი ვარ, მეორე ძლიერი ხმამაღალი მიკ მეხოვრეებისა. ეს კარგი არაფერი, ახლა ფანრების მაგივ მემოვლე მოდამი, რომ გამოვ ზოგი სახლის მეტროში კლდეთი კაცებს... სახლის გაწმენდა არის ხოლმე, როცა საჭიროდ დაინახავენ, მაგ. საიდუმლო სტამბა რომ აღმოაჩინეს, არის დაჭერის დაპატიმრება და სხვა.

ეს საიდუმლო სტამბა აღმოაჩინეს 21 თებერვალს, როგორც „ისარ“-ში იყო ნათქვამი, მაგრამ დაწვრილებითი ამბის გაგება ადგილობრივ უფრო ძნელია ხოლმე. დაუჭერიათ სამი მომუშავე კაცი და ერთი ქალი. წიგნები პროკლამაციები და ფულის მოსაგროვი კვიტანციები. შუშისეულ შენობაში ეწერათ 3 ფუთი შრიფტი.

ამ საქმის გამო ამას წინად ტფილისიდან მოსულან ჟანდარმის გამგეობის მოხელენი, გამოუძიებიათ საქმე და გადაუწყვეტიათ ყველა დაჭერილი, ქალი ზუგდიდის.

2 მარტს სადამოთი მოჰკლეს ვინც კაცი ჯორჯიძე. როგორც ამბობენ, ჯიმშეიძეთ. მკვლელი მიმალულა.

ამას წინად თვითონ ხმა დაიკრეს, არა ბუთხადა მოლაგეამი დაიჭირეს. როგორც აღმოჩნდა, ბუთხედის ხიზანში ბევრი ფული მოუცია დახოცილ საქონლიდან სოფლელთაგან დასაროგებლად და ხმა სტრაჟნიკი გაუგზავნიათ, რომელნიც ბურჟუაზიით აქვთ ოჯახი მოსდევდენ და სხვებს-კი წაიყვანენ დაუჭერიათ და დაპატიმრებულად მიჰყავთ. ახე, მალე თვითეულები სოფელებს და სხვა მოხელეთაც დაიჭერენ, რომელთაც მგზავრებად სტრაჟნიკები ახლავან ხოლმე.

დეპეშა

(პეტერბურგის ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

16 მარტი.

პეტერბურგი. არხანგელსკის გუბერნიაში, ონეგის ახლო, გაძარცვეს მონასტერი, წაიღეს 300 მანეთი.—ეკატერინოსლავში კომულეგსკის მაქრის ქარხანას 8 კაცი დაეცა; წაიღეს ქარხნის ფული 1400 მანეთი და ქარხნის გამგეს 1005 მანეთი. ქარხნის გამგეს ჯიბეებიც გაუჩხრიკეს და 230 მანეთი წაართვეს.—კრასნოიარსკში მოიჯარადრე კოლნიკს, როცა იგი სადგურიდან ეტლით მიდიოდა, თავს დაესხნენ და 1812 მანეთი წაართვეს.—ატკარსკის მაზრაში კალვინის ხუტორს დაეცა 20 შეიარაღებული კაცი. 7 თოფი და 300 მანეთი გაიტაცეს.

ჰელსინგფორსი. გაზეთების ცნობა, ვითომ იუშკევიჩ-კრასკოვსკი და პოლოვნევი დაუჭერიათ, ტყუილია. მართალია, რუსეთიდან ცნობა მოვიდა, რომ იუშკევიჩ-კრასკოვსკი და პოლოვნევი ბუდაპეშტში გაიქცნენო, პოლიციამ ზომები მიიღო, მაგრამ იხინი ვერსად ნახეს.

მოსკოვი. რექტორმა უნივერსიტეტის ცენტრალურ ორგანოს გამოუცხადა: რადგან ორგანომ ხელმეორე განამართლა ადმინისტრატიის კარები შეამტვრია, უნივერსიტეტის საბჭომ გადასწყვიტა, ორგანოს უნივერსიტეტის შენობაში აღარ მისცეს ხადგომი.

ლონდონი. აღდგომის დღესასწაულებისა გამო საზოგადოებათა პალატამ 8 აპრილამდე (ახალი სტილი) სხდომები შეაჩერა.

რევალი. 15 მარტს აღმოაჩინეს ადგილობრივი მებრძოლი ორგანიზაცია, ათი კაცი. ნახეს რევოლვერები, პატრონები, სასახლერტე ბლანკები, შრიფტი, არალეგალური ლიტერატურა, სტრიხნინი და განაჩენი იმისა, თუ ფული როგორ ნაწილდებოდა. ამ განაჩენით, ორგანიზაციის თანხას ემატებოდა 1000 მანეთიდან სამი მეათედი, 10,000 მანეთიდან ექვსი მეათედი და 20,000 მანეთიდან ორი მეათედი. დანარჩენი წევრებს შორის იყოფოდა.

რიგა. ფერარაში გაიფიცა 2,000 კლესი. მინდვრად მუშაობა შეწყდა. გაფიცულებს ხიდიალისტეში უქმელ მხარს. მუშები გაფიცვას არ მიემხრნენ. ემინაბით, მუშებსა და გლეხებს შორის შეტაკება არ მომხდარა. ამიტომ ჯარი დაიბარეს.

პეტერბურგი. ღამის 11 საათზე ნავთსადგურის ეზოში აფეთქდა გრაფ ათვალიერებდა ხადაც «ბაიანი» შენდება. ამ გემიდან ესროლეს რადაც შუხვეულნი, რომელიც აფეთქდა ხუთ გორვანქიანი ჯემპარა. ჯემპარა თვალში ჩავარდა და არ გასკდა. მსროლელი ვერ აღმოაჩინეს.

ბერნი. ლუიჩტიცვის ქალს, რომელმაც მოკლული მიცვალა (ფერნლეი ვგონა), მიუსაჯეს ოთხი წლით დატუსაღება.

რედაქტორ-გამომცემელი **ივ. ი. მჭედლიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

მატარებლების მიმოსვლა

(ზამთრის წესით)

(დროებლებს კარგი ნარცვნები პეტერბურგის საათით, დრობლებში—ტფილისის)

ტფილისიდამ მიდის

I. ბაქოს: 1) ფოსტისა მიიკოლეპტე, ნაშუადღევის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) სალიტო დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.); 3) სამგზავრო, საღამოს 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.); 4) სამგზავრო და საქონლის, ღამის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

II. ბათუმს: 1) საფოსტო, ნაშუადღევის 12 ს. 26 წ. (1 ს. 24 წ.); 2) სამგზავრო, საღამოს 7 ს. 7 წ. (8 ს. 5 წ.); 3) ჩქარი, საღამოს 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.).

III. ყარსის: 1) საფოსტო, ღამის 11 ს. 42 წ. (12 ს. 40 წ.); სამგზ. და საქონლის, ნაშუადღევის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ბათუმიდამ მიდის

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) საფოსტო, ღამის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 2) სამგზავრო, საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.); 3) საჩქარო (მარტო ტფილისამდე), დილის 9 ს. 15 წ. (10 ს. 13 წ.).

ბაქოდან მიდის

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) ფოსტისა მიიკოლეპიდან, (მარტო ტფილისამდე), ღამის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.); 2) საფოსტო, ნაშუადღევის 4 ს. 50 წ. (5 ს. 48 წ.); 3) სამგზავრო, ნაშუადღევის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 4) სამგზავრო და საქონლის, ღამის 4 ს. 3 წ. (5 ს. 1 წ.).

განცხადებანი

პირველი კერძო საავადმყოფო

დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირების გარდა.

ნ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

გ. მ. რაჭიტანი: $9\frac{1}{2}$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

შ. ი. ბაბანაზოვი: 10—11 ს. ბავშვთა, ქალებისა და ბავშვების.

მ. გ. ბეჟანიშვილი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. მ. მუგანოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვთა და ფილტვის ავადმ.

გ. ი. გოქელიშვილი: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგანი და ბავშვთა.

ა. ი. შერმაზანანი: $1\frac{1}{2}$—2 საათამ. ბავშვთა და ქალებისა.

გ. ი. გურგენოვი: 1—2 საათ. ქალებისა და ბავშვთა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. საავადმყოფოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ნ. ა. ნავასარდიანი.**

(150—ხალ.—44)

ქუთაისის ამხანაგობამ

„ნდობამ“

დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერავის ხელში შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქცევი). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო **ხაზელობითი განყოფილება**, სადაც მოიპოვება ადგილობრივი ნაშუშევარი, როგორც მეროფსის შევრი და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასებში, აგრეთვე საზაფხულო პარუსინისა, სუფთა და მკვდარი ნამუშევარი, რისთვისაც სიხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეძენილ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და შეკოლების სავაჭრო საქმით. ვალდ ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ რომ ყოველ ღდნებულ საშემკვეთო ნათლად გაუძღვებით. ამხანაგობა გადაუდა კირინნი ქუჩაზე, ბოლდანოვის შენობაში, № 11-ში, ადგილობრივ სავაჭრო ნოვიკოვთა საზოგადოების ცოტა ქვემოთ.

გამგე ამხანაგობისა **ს. ბერძნიშვილი.**

(20—569—10)

იყიდება

წიგნების სავაჭრო ბუდკა კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ, ნიკოლოზის მოედანი. მოლაპარაკება შეიძლება აქვე პატრონთან. (3—ნ.—3)

საუკეთესო ამერიკულ ვაზისა

კლდ-უმურული

საყიდის და ამზადებს დამყნობილ ფესვის ვაზებს ნამყენებს

განმარტება და პრეისკურანტები უფასოდ. (2—თის—2)

მკითხველ მეზოგოთა და სოციალ-ფედერალისტთა საყურადღებოდ

იყიდება მხოლოდ რვა მანეთად

მშვენიერი ყდაგან კდაში აკინძული სრული 1906 წლის სოციალ-ფედერალისტურ გაზეთების ყველა ნომერი: **«ნაკადი»**, **«ელვა»**, **«ღობიერი»**, **«სამშობლო»**, **«ცისკარი»**, და **«ჩვენი ცხოვრება»**, **«ცნობარი»**, **«წინ»**, **«შარმი»** და **«გზა»**. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ან ნაღდ ფულს მიაწოდოს წინადადებით გამომცემლობის მისამართზე. აქვე იყიდება 1906 სრული წლის ჟურნალების ფედერ. გაზეთი **«ივერია»** ივრიკი ფულით და ქართული წიგნები **«ცხოვრება და ხელოვნება»**, ერთად სულ მანეთის 40 კაპ. ფასი ახალი; **«ვარსკვლავი ამხანაგი»**, მანეთის 150 კაპ. ერთი ახალი და **დრუჟინა** 100 კაპ. სამი წიგნი. შეიძლება დაქირავებით და შეკვეთით.

მისამართი: **ст. Михайлово Георгію Чархишвили.** (5—ნ.—5)

საზოგადოების

საყურადღებოდ

ვისაც უნდა დაამზადონ აირი, თმები, ბანგები სასაპნეთლებში მოხატულები. შეუძლია სახელმწიფო ხარჯზე სურათები მოაცვენოს; **ვისაც უნდა** სადმე თმის საქმეზე თმიერების შეცვლა; **ვისაც უნდა** სახელო ან თმიანი შიეშვა ნახვი, ფურნიტურა; **ვისაც უნდა** თმიენა მეგრელის ხელმწიფის სუნ მოჩიარებისა, **ვისაც უნდა გაეცნოს ქველმოქმ—იმათ უნდა მიმართონ** აღმაშენებელი, ნიუსის და შენიშვნა ქუჩების კუთხეში, სახელოსნო სახლში **თ. შ. ნანიჭს.**

შესვლის სახლში თავის დილიდ 10—12 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე.

ხელოვანი მომჩივრის. (3—ე—3)

გამოვიდა და დაიყიდება ყველგან

ახალი ქართული წიგნი

მარქსიზმის შესახებ

ნ. მიხაილოვისა, თარგმანი რ. ჯ—ლისა.

ფასი 10 კაპ.

კბილის საექიმოს სკოლა ლ. შტრეინგერისა

ბაღდება ერევნის მოედანზე (მეშენის ქუჩა, № 3).

სავრცელი საზოგადოების სახლში

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამომდე 7-მდე; კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნური კბილის ჩაყენება—3 მანეთი თითო კბილის საღრმუტებრო პერატივებისათვის. (100—89)

მეჭურჭლეთა საქმის მუშაკთა პროფესიონალური საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან გახსნა

კანტორა

სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, მეორე სართულზე, № 119, სადაც მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ საზოგადოების წევრად. აქვე უნდა ჩაეწერონ უადგილო მუშები ამ ხელობისა.

კანტორა ღია არის დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

ნამდვილი კახური ღვინო

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—36)

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

✦✦ წლიწადში **ჯეჯილი** მეთვრამეტე ✦✦

1907 წელსაც გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

რადგან 1906 წლის გარემოებამ დაგვაბრკოლა და სრული წლის გამოცემა ვერ მოვასწარით ჩვენს ხელის მომწერლებს—1907 წლის ნომრებით შევუსრულებთ დანაკლისს ფასს გადაუხდელად და წრეულს ახალ ხელის მომწერლებს პირველი სამი ნომერი გაეგზავნებათ შარშანდელის გამოცემისა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან. ტფილის გარეშე გაგზავნით 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში—„წერა-კითხვის გამომ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101.) და თვით **ჯეჯილის** რედაქციაში (Артиллер. ул. № 5. возлѣ Кадетскаго Корпуса.).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „ДЖЕДЖИЛИ“.

(4—ე.—4) რედაქტორ-გამომცემელი ანასტასია წერეთლისა.

ფეხსაცმელი

პეტერბურგის საქვეყნოთ წარმოების ამხანაგობისა.

შეკერილი, რანტიანი და ვინტებზე. მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი ყოველ ფასონისა.

რანტიანი: პარიზისა (მოკრძო) და ამერიკის ფასონებისა.

იყიდება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის მაღაზიებში.

რადგან ხშირად სხვები თავიანთ ცუდ საქონელს ჩვენად ალიარებენ, ფაბრიკა უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ მყიდველებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და სახელმწიფო გერბს (არწივს)

ნარდათ შეკვეთილ ამ ფეხსაცმელს ამზადებს

სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

ტელეფონი № 346, **ტფილისში,** ერევნის მოედანი,

რომლის საწყობშიაც არის დიდი ძალი

ტყავის საქონელი რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული. (100—8)